დავით კერესელიძე

ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია

თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა მაღალი სტანდარტის განათლებასა და პროფესიონალიზმს, როგორც ქვეყნის კულტურისა და ცივილიზაციის გამოვლენის უმნიშვნელოვანეს ფენომენს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წამყვან პოზიციაზეა არა მარტო საქართველოში არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონში. უნივერსიტეტის იმიჯს და რეიტინგს მნიშვნელოვნად ამაღლებს სამეცნიერო მიღწევების დონე და სწავლების ის ხარისხი რაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებობს. ფაკულკტეტი აკადემიური თავისუფლების, თითოეული მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს მათემატიკის, კომპიუტერულ მეცნიერებების, ფიზიკის, ელექტრონიკისა და ელქტრონული ინჟინერიის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის და გეოლოგიის მიმართულებით.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი სფეროებია: სასწავლო პროცესი და სამეცნიერო მუშაობა, ასევე მნიშვნელოვანია საბიბლიოთეკო საქმიანობა; ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო კავშირები, რომელთა დახვეწითა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებით უზრუნველყოფილი იქნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია, სტუდენტების ინიციატივების მაქსიმალური ხელშეწყობა და პროფესორთა აკადემიური თავისუფლება.

სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის უმნიშვნელოვანესია საგანმანათლებლო პროგრამების პერმანენტული განახლება; საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებთან მემორანდუმების გაფორმება და ერთობლივი პროგრამების ეტაპობრივად დანერგვა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის ამაღლება, შუალედური და საბოლოო გამოცდების მიმდინარეობაზე პერმანენტული კონტროლი, ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის მუდმივი მზადყოფნა, დისტანციური და ელექტრონული სწავლების შემუშავება და საჭიროებისამებრ დანერგვა;

კვლევითი საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობა, საერთაშორისო კვლევით პროექტებში აქტიური ჩართვა რათა დაკმაყოფილდეს მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის ყველა საერთაშორისოდ აღიარებული კრიტერიუმი რომლის რესურსიც ჩვენს ფაკულტეტს უდაოდ გააჩნია. მიღებული შედგების და სასწავლო პროცესში მათი დანერგვის შესაბამისად აკადემიური პერსონალის წახალისება. საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო ჟურნალის დაარსება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, სადაც გამოქვეყნდება როგორც ჩვენი ფაკულტეტის, ისე

უცხოელ მკვლევართა ნაშრომები და კვლევები, აღნიშნული ჟურნალისთვის საერთაშორისო გრიფის მინიჭება. სამცნიერო საგრანტო პრაგრამებში წარმატებული და ნიჭიერი სტუდენტების ჩართვის ტრადიციის დამკვიდრება;

ფაკულტეტზე არსებული საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურის და წიგნადი ფონდის განახლება, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის შექმნა/გაფართოება; მოწინავე უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის მოდერნიზება კერძოდ პროფესორთა სამუშაო ოთახების, აუდიტორიების, ლაბორატორიების მოწესრიგება და ტექნიკურად განახლება რაც ფაკულტეტის ძირითადი, სასწავლო-სამეცნიერო ფუნქციის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა.

ფაკულტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში სტუდენტები წარმაოდგენენ ძირითად ქვაკუთხედს, შესაბამისად მუდმივად უნდა ხდებოდეს როგორც კვალიფიციური განათლების მიცაღებად სასწავლო გარემოს გაუმჯობესება ისე სტუდენტის ინიციატივების წახალისება და მათი მოსაზრებებისა დ ინტერესების გათვალისიწინება მართველობით სტრუქტურების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, სტუდენტი არსებით მონაწილეობას მიიღებს როგორც აკადემიური პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფაში ისე ამ პროდუქტის მიმწოდებლის შეფასებაში.

მსოფლიოს ბევრ წამყვან უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად ქცეულ გამოცდილების გაზიარება და სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიული კავშირების - ასოციაციების დაარსება და მათთან ერთად ყველა ახალი და სასარგებლო ინიციატივის განხილვა და მათი განხორციელებაში დახმარება.

ფაკულტეტის პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნა, სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევის ეფექტურად განხორციელებისათვის, სახელფასო ფონდის მუდმივი ზრდა, მაქსიმალური ხელსეწყობა საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისათვის, აკადემიური პერსონალისთვის მისაღები (ზოგიერთ შემთვევაში მოქნილი) სამუშაო გრაფიკი, სამეცნიერო კვლევებზე მუშაობის შესაძლებლობა, კონკურენტული ანაზღაურება და წამახალისებელი ფაქტორები.

მართველობით სფეროში მნიშვნელოვანია ფაკულტეტის დეცენტრალიზაცია დეპარტამენტებისათვის და კათედრებისათვის მეტი უფლებების გადაცემა, რაც გულისხმობს: დეპარტამენტების მიხედვით არჩეულ საბჭოებს საშუალება ექნებათ განსაზღვრონ და გადაწყვიტონ დეპარტანებტის საჭირბოროტო საკითხები და კოორდინირებულად იმოქმედეონ ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად; ფაკულტეტის ბიუჯეტი გადანაწილდება დეპარტამენტების მიხედვით და დეპარტამნეტების ხელმძღვანელები დეპარტამენტის საბჭოსთან ერთად მოახდენენ ბიუჯეტის განაწილებას მათი ინტერესებიდან გამომდინარე (ხელფასები, სამივლინებო

ხარჯები, სტუდენტთა პრაქტიკა, ექსპედიციები და სამეცნიერო კვლევები, მატერიალურ- ტექნიკური რესურსები და სხვ) ;

მნიშვნელოვანია უკვე არსებულ საერთაშორისო კონტაქტების შენარჩუნება და გაფართოება, კიდევ უფრო მეტი და მჭიდრო კავშირების დამყარდბა სხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტბთან და სამეცნიერო ცენტრებთან ინტერდისციპლინარული პროგრამების განსახორციელებლად, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების, კონფერენციების, სემინარების, ექსპედიციების და სხვა აქტივობების ჩასატრებლად, რათა ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ- მასწავლებლობამ და, რაც მთავარია, სტუდენტობამ შეძლოს საერთაშორისო გამოცდილებiს გაცნობა, პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევბის გაღრმავება.

ფაკულტეტის მომავალი საქმიანობა დაფუძვნებული იქნება კეთისინდისიერების, პიროვნების პატივისცემის, სამართლიანობის და პასუხისმგებლობის პრინციპებზე, მუდმივ განვითარებისკენ სწრაფვაზე და ფაკულტეტზე უკვე განხორციელებული ბევრი ნოვაციური იდეის შენარჩუნებით, განვითრებითა და ახლის განხორციელბით თსუ ცენტრალურ ადმინისტრაციასთან კოორდინირებული საქმიანობით იგი გახდეს ერთ-ერთი ნოვაციური ფაკულტეტი არამარტო ქართულ არამედ ევროპულ საგნმანათლებლო სივრცეაში.